სარჩევი

რა არის ახალი 2

თიბისი ბანკის ინტეგრაციის მომხმარებლის პაროლის შეცვლა 2

გაცემული ანგარიშ-ფაქტურების ჟურნალში ს/ზ სტატუსი 3

ეტიკეტების საბეჭდ ფორმაში შესყიდვის დოკუმენტით შევსება 3

რა არის ახალი მარდიში 4

დოკუმენტის კოპირება აპლიკაციაში 4

ნომენკლატურის შერჩევისას სიის სორტირების აწყობა ნომენკლატურის პარამეტრების მიხედვით 5

გასწორებული შეცდომები 7

სხვა მოდიფიკაციები 7

ბალანსის რელიზი_1.3.10.10

30.04.2025

რა არის ახალი

თიბისი ბანკის ინტეგრაციის მომხმარებლის პაროლის შეცვლა

თიბისი ბანკთან ინტეგრაციისთვის, სტანდარტ+ ტიპის მომხმარებლის გამოყენებისას, როდესაც ვერიფიკაცია ხდება მომხმარებლით პაროლით და ციფრული სერტიფიკატით(არ გამოიყენება თიბისის ავტორიზაციის ფანჯარა), ბანკის მიერ მოწოდებული პაროლის ცვლილება შესაძლებელია ბანკთან ინტეგრაციის მისამართების რეგისტრიდან, საიდანაც ეთითება ავტორიზაციის მონაცემები.

ადმინისტრირება -> აწყობების ქვესისტემაში „მონაცემების სინქრონიზაციის აწყობები“ - > ბანკთან ინტეგრაციის მისამართი.
თიბისის მისამართის ფანჯარაში „პაროლის შეცვლა“ ღილაკზე დაჭერით გაიხსნება თიბისის ფანჯარა, სადაც მომხმარებლის, პაროლის და დიჯიპასის შეყვანისას შესაძლებელია ახალი პაროლის დაგენერირება.



გაცემული ანგარიშ-ფაქტურების ჟურნალში ს/ზ სტატუსი

პროგრამა ბალანსში გაცემული ანგარიშ-ფაქტურების ჟურნალის ფუნქციონალს დაემატა ს/ზ სტატუსი, რომელიც ანგარიშფაქტურებზე მიბმული ზედნადებების სტატუსის კონტროლის საშუალებას იძლევა.



ეტიკეტების საბეჭდ ფორმაში შესყიდვის დოკუმენტით შევსება

ეტიკეტების და ფასების ბეჭდვის დამუშავების შევსების ღილაკში დაემატა ახალი ფუნქციონალი – **„შევსება შესყიდვის დოკუმენტის მიხედვით"**.



შესყიდვის დოკუმენტის არჩევის შემდეგ გამოჩნდება შეტყობინება „გადაივსოს რაოდენობები დოკუმენტებიდან":

- დათანხმების შემთხვევაში რაოდენობები შეივსება შესყიდვის დოკუმენტიდან
- უარყოფის შემთხვევაში რაოდენობები შეივსება მნიშვნელობით 1



შესყიდვის დოკუმენტის არჩევისას ეტიკეტების დამუშავება ავტომატურად შეივსება შესყიდვის დოკუმენტში მითითებული ნომენკლატურებით

რა არის ახალი მარდიში

(მარდის რელიზი-1.4.1)

დოკუმენტის კოპირება აპლიკაციაში



აპლიკაციაში შესაძლებელია შეკვეთის რეალიზაციისა და დაბრუნების დოკუმენტის კოპირება. კოპირება შესაძლებელია დასიქნრონებული და დრაფტის სტატუსის მქონე დოკუმენტზე. დოკუმენტებს კოპირების ღილაკი აქვს შიგნით, გახსნილ დოკუმენტში.

დოკუმენტების კოპირებისას ახალ დოკუმენტში გადადის მყიდველი, კომენტარი, იმ დოკუმენტის ფასის ტიპი, რომელსაც ვაკოპირებთ და კალათაში არსებული ყველა პროდუქცია.

თუ რომელიმე პროდუქცია ადრე ქონდა თუმცა ახლა აღარ აქვს სავაჭრო წარმომადგენელს განსაზღვრული ასეთი პროდუქტი არ გადავა დაკოპირებულ დოკუმენტში. რაც შეეხება მიწოდების თარიღს (შეკვეთასა და დაბრუნებაში), ასევე ფასდაკლებებს ისინი დაითვლება მიმდინარე პერიოდის მონაცემებით. მაგალითად, თუ რეალიზაციაში, რომელსაც ვაკოპირებთ, გამოთვლილია ავტომატური ფასდაკლებები, თუმცა ეს ფასდაკლებები დღეს აღარ მოქმედებს, დღევანდელ დაკოპირებულ დოკუმენტებში ფასდაკლება არ გადმოყვება.

ნომენკლატურის შერჩევისას სიის სორტირების აწყობა ნომენკლატურის პარამეტრების მიხედვით

აპლიკაციაში პროდუქციის სიაზე, ასევე კალათაში დაემატა ნომენკლატურის სორტირების შესაძლებლობა გარკვეული რეკვიზიტების მიხედვით : ალფაბეტურად, არტიკულით, შტრიხკოდით, ფასის მიხედვით, ნაშთის მიხედვით, დამატებითი რეკვიზიტის მიხედვით.

დამატებითი რეკვიზიტის მიხედვით სორტირება გულისხმობს შემდეგს - ჩამოთვლილი სორტირების ვარიანტების გარდა თუ მომხმარებელს აქვს რაიმე კონკრეტული დამატებითი რეკვიზიტი (მაგალითად, ბრენდი), ან ნომენკლატურის სხვა ძირითადი რეკვიზიტი (მაგალითად, ნომენკლატურის წონა) რისი მიხედვითაც სურს პროდუქციის სორტირება, ადმინისტრირებაში დისტრიბუციის აწყობებში შესაძლებლობა აქვს „ნომენკლატურის სორტირების დამატებით რეკვიზიტში“ აირჩიოს ის მნიშვნელობა, რომელის მნიშვნელობებიც გამოიცვლება აპლიკაციის მხარეს და შესაძლებელი გახდება ამ რეკვიზიტით სორტირება აპლიკაციაში.



სორტირება შესაძლებელია როგორც ზრდადობით, ასევე კლებადობით.

დოკუმენტის კალათაში სორტირება განსხვავდება პროდუქციის სიის სორტირებისგან, ამ შემთხვევაში ფასის მიხედვით და ნაშთის მიხედვით სორტირება არ გვაქვს. მათ ნაცვლად არის ქრონოლოგიურად, ანუ კალათაში დამატების დროის მიხედვით სორტირება და თანხის მიხედვით სორტირება.





ფუნქციონალი:

- დეშბორდის დახვეწა

გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია შესყიდვის კორექტირების დოკუმენტში ჩაუთვლელი დღგ-ის ანგარიშის ფილტრის ხარვეზი
- გასწორებულია შესყიდვის კორექტირების დოკუმენტში დღგ-ის ანგარიშის შესყიდვის დოკუმენტიდან გადავსების ხარვეზი
- გასწორებულია Dump-ის ჩატვირთვის ხარვეზი, როდესაც ბაზაში დამატებულია საიტთან და მარდისთან გაცვლის გეგმები
- გასწორებულია Dump-ის ჩატვირთვისას მომხმარებლების ჩატვირთვის ხარვეზი
- გასწორებულია უკან დაბრუნების დამხმარეში დეპარტამენტის შევსების ხარვეზი განაცხადი საქონლის უკან დაბრუნების დოკუმენტიდან
- გასწორებულია შესყიდვაში მითვლის ფუნქციონალზე დაფიქსირებული ხარვეზები
- გასწორებულია ბანკებთან ინტეგრაციაზე დაფიქსირებული ხარვეზები
- გასწორებულია ფულის გასვლის დოკუმენტში და სალაროს გასავლის ორდერში საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შევსების ხარვეზი, როდესაც დარიცხვის ტიპებით ანგარიშსწორება არ არის ჩართული
- გასწორებულია სათავო და შვილობილ მყიდველებზე ბუღალტრული ოპერაციის გატარების ხარვეზი

სხვა მოდიფიკაციები

- დაიხვეწა მრავალდონიანი ავტორიზაცია
- განაცხადი საქონლის უკან დაბრუნებაზე დოკუმენტზე დაბრუნების სტატუსები
- ეტიკეტებისა და საფასარების ბეჭდვის დამუშავებაში ნომენკლატურების შესყიდვიდან შევსების შესაძლებლობა
- გაცემული ანგარიშ-ფაქტურების ჟურნალში ს/ზ-ის სტატუსი გამოტანა
- გაცემული სასაქონლო ზედნადებების ჟურნალში მყიდველის გამოტანა
- შესყიდვის დოკუმენტში აღრიცხვის ანგარიშის შევსების ცვლილება
- თიბისი ბანკთან ავტომატური ინტეგრაციის დროს ინტეგრაციის მომხმარებლის პაროლის ცვლილების შესაძლებლობა